საქართველოს სახელმწიფო
ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

№ 231
1877

ივერია

№ 231
1903

ოკდომბერი 30, ხუთშაბათი 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ოკდომბერი 30, ხუთშაბათი 1903 წ.

პირველ ნოემბრიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 2 მან. 75 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კაპ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

ნინო მერაბის ასული იოსელიანისა შვილებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ამ წლის 18 მაისს ს.-პეტერბურგში მიცვალებულ

მართა ისიდორეს ასულის იოსელიანის

გვამი უკვე გამოასვენეს პეტერბურგიდგან და ამაღლების ეკკლესიაში დაიკრძალება ტფილისში.

დღე მოსვენებისა და დაკრძალვისა თავის დროს იქნება გამოცხადებული.

(1—230—1)

როინაშვილისეული ფოტოგრაფია.

ამ წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“

ფოტოგრაფია

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი,

იჯარით აიღო

და სრულიად ახლად მოაწყო იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **მეცამეტე სურათი, მიეცემა მუქთად** აკვარელით (ფერადებით) **საუცხოვოდ დახატული.**

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასაყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, სანახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეებს ფოტოგრაფია გადაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონის ძე მომცელიძე.**

წარმოდგენა № 10. ტელეფონი № 617

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 30 ოკდომბერს 1903 წ.,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

საზოგადოების თხოვნით ხელმეორედ

წარმოდგენილ იქნება

I

პატარა კახი

ისტ. დრამა 5 მოქმ. თხზ. აკაკისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნ. დავითაშვილი, ნებიერიძისა, ნ. ჯავახიშვილისა; ბ-ნნი: დ. ბაქრაძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ი. ივანიძე, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი, კ. ყიფიანი, შალიკაშვილი, გძელიშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად გედევანოვის საბენეფისოდ „სეველიელი დალაქი“ და „დუელი“.

რეჟისორი **აკაკი.**

ტფილისის სახაზინო თეატრი

რუსული ოპერა

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

ხუთშაბათს, 30 **ოკდომბერს** 1903 **წ.**,

მის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

ფრა-დიავოლო

ოპერა 3 მოქმედებათ, მუსიკა ობერისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ბი: კარტავინა, სელიუკი; ბ-ბი: ფიგნერი, სელიავინი, გლადკოვი, შმაკოვი, ფედოროვი, გავრილოვი.

კაპელმეისტერი ბ-ნი ესპოზიტო.

უფროსი რეჟისორი ნ. ბოგოლიუბოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

ანონსი. პარასკევს, 31 ოკდომბერს წარმოდგენილი იქნება „ფაუსტი“, ოპერა 5 მოქმ. მუსიკა გუნოსი.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი

თ-დი დ. ნიჟარაძე

აცხადებს საყოველთაო საცნობელად, რომ 10 დეკემბერს მიმდინარე 1903 წლისა დაიწყება **ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება** მოხელეთა ასარჩევად და განსახილველად თავად-აზნაურთა შესახებ საქმეებისა.

(3—6—2)

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათამდის და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა-უქმე დღეებში 9—2-დის და საღამ. 5—7-მდის.

(წლ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირადღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. აპეტისიანცი. 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ბ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია.

ლ. ვ. ბარტოლდი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ბ. ს. ლევი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ვ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 8½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

(წლ.)

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (**Набережная**) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

მ. ი. ჯიჯინაძე. კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

ლ. ი. კამოევი. საშარდ., ვენერ. და სიფილ 10—11 ს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილებისა 10—11 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი. შაკ. და შინაგ. 10—11 ს.

ლ. მ. მონინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—1 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

მრ. ვ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ. ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

ტფილისი

რუსეთის სამუსიკო საზოგადოების ტფილისის განყოფილების თავმჯდომარემ კ. მ. ალიხანოვმა, რომელმაც ამას წინად 16,000 მანათი შესწირა შენობის დასამთავრებლად და სამუსიკო დარბაზის მოსაწყობად, მადლობის დეპეშა მიიღო მისის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს ძისა.

კავკასიის ექიმთა საზოგადოების თავმჯდომარეს მოლაპარაკება აქვს ქალაქის გამგეობასთან იმის შესახებ, რომ ამ საზოგადოებისა და სახალხო წიგნთ-საცავისათვის, რომელიც ქალაქმა უნდა დააარსოს, საერთო შენობა აგონ ალექსანდრეს ბაღში. ექიმთა საზოგადოება თავის მხრივ ამ შენობისათვის 10,000 მანათს გადასდებს.

ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორის თანაშემწე, ინსპექტორი შულგინი 24 ოკდომბერს ს. წინამძღვარიანთ კარში ყოფილა, იქაური სამეურნეო სკოლა დაუთვალიერებია დააკმაყოფილი დარჩენილა. საპატიო მიმსვლელთა დავთარში ჩაუწერია: „24 ოკდომბერს 1903 წელსა ვიყავ სასწავლებელში, დავესწარ საერთო განათლებისა და სპეციალურ საგნების გაკვეთილებს. თავის კეთილ-მოწყობილობით სკოლა ფრიად სასიამოვნო სანახავია“.

უკანასკნელ ხუთის წლის განმავლობაში, 1898 წლიდგან 1902 წლამდე უმოგზაურნიათ: 1898 წ.—3,827,439 კაცსა, 1899 წ.—4,882,551, 1900 წ.—5,574,989, 1901 წ.—5,886,109 და 1902 წ.—5,500,000 კაცსა. რკინის გზას აუღია მგზავრებისაგან 13,510,000 მანათი 18 კ. ამ ანგარიშიდგანა სჩანს, რომ მგზავრთა რიცხვი ყოველ წელს მატულობს, გარდა 1902 წლისა, როდესაც მომატების ნაცვლად 300,000 მგზავრი მოჰკლებია.

სამხედრო სასამართლომ 28 ოკდომბერს გაარჩია საქმე ნ. ჯავრიშვილის მკვლელობისა, რომელიც ამ ზაფხულს მოხდა ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე. პასუხის გებაში იყო მიცემული 1 ყუბანის პლასტუნთა ბატალიონის ხორუნჟი ფრანც იოსების ძე გენზელი მეორე.

სასამართლომ დამნაშავედ იცნო ხორუნჟი გენზელი და სამის წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა მიუსაჯა ღირსების აყრით, ხოლო დანაშაულის შემამცირებელ გარემოებათა გამო სასამართლომ დაადგინა,—იშუამდგომლოს მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის წინაშე, რომ დანაშაულობა უმოწყალესად ეპატიოს. მოკლულის ჯავრიშვილის მამის სასარგებლოდ უნდა გადახდეს ხორუნჟ გენზელს 201 მანათი, რომელიც დამარხვაზედ დახარჯულა.

მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მოხელე დერვიზის დასი, რომელიც ერევნის გუბერნიაში იყო გაგზავნილი ამ ზაფხულს სახელმწიფო გლეხთათვის მამულების მისაზომად, უკვე ჩამოვიდა ტფილისში, რადგან თავისი სამუშაო გაუთავებია.

ჩამოვიდა აგრედვე მეორე დასი ამ უწყებისა, რომელიც ბორჩალოს მაზრაში მუშაობდა.

მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს რწმუნებული მედვედევი კვირას, 3 ოკდომბერს, ერევნის გუბერნიაში მიდის და განსაკუთრებით გუმბრის მაზრაში, სადაც უნდა შეამოწმოს, რა გაუკეთებია იმ დასს, რომელიც ამ ზაფხულს სახელმწიფო მამულთა მოსაწყობად იყო გაგზავნილი.

ტფილისის თვით მმართველობა ხარჯავს ყოველ წელს მოხელეების ჯამაგირზე 280,000 მანეთს. აქედგან დაბალ მოხელეებს ეძლევა 60,000 მანეთი; მწერლებსა და იმ მოხელეებს, რომელნიც იღებენ ჯამაგირს 360 მანეთზე მეტს, ეძლევათ 220,000 მანეთი.

მთაწმინდის გორაზე კერძო მემამულენი ეხლავე სახლის აშენებას შესდგომიან იმ იმედით, რომ ფუნიკულიორი მალე გაკეთდებაო. სხვათა შორის, აყვანილია კედლები ერთის შენობისა, რომელშიაც სასტუმროს გამართვას აპირებენ.

ქალაქის საბჭომ 27 ოკდომბერს, სახსოვრად ორასის წლის შესრულებისა მას შემდეგ, რაც რუსეთში დრო-გამოშვებითი მწერლობა დაარსდა, დაამტკიცა ქალაქის გამგეობის დადგენილება იმის შესახებ, რომ ტფილისის ჟურნალ-გაზეთების ღარიბ თანამშრომელთა შვილთათვის დაარსდეს ორი 120 მანათიანი სტიპენდია—ერთი ვაჟებისა და ერთიც ქალების გიმნაზიაში,—და აგრედვე ერთი საწოლი მიხეილის საავადმყოფოში ღარიბ და დავრდომილ მწერალ ავადმყოფისათვის. ხმოსანმა ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა განაცხადა, რომ კარგი იქნებოდა ერთი სტიპენდია მაღალ სასწავლებელშიაც დაარსდესო, დასაფასებლად იმ დიდის ღვაწლისა, რომელიც მწერლობამ გაუწია მთელს კავკასიასო. ეს აზრი საბჭომ უარჰყო.

საბჭომ იმავე კრებაზე არ შეიწყნარა საჩივარი ტფილისის ტრამვაის საზოგადოებისა, რომელსაც ქალაქის გამგეობა აჯარიმებს 3,190 მანათით იმის გამო, რომ ვაგონებზე შესაფერი ფარნები არა ყოფილა.

ჩვენებური ამბები

სოფ. ძველი-გავაზი (თელავის მაზრა). მას აქეთ, რაც ეს სოფელი არსებობს, 50—55 წელიწადი იქნება. ამ სოფელთან ერთად დაარსებულა კიდევ. მეორე სოფ. რუსებისა—საცხენე. სოფ. საცხენეში თურმე პირველ გადმოსახლებაზე 20—22 კომლზე მეტი არა ყოფილა. შემდეგ მთავრობას გადმოუსახლებია კიდევ სხვანი, ასე რომ ვაუმრავლებია აქ მოსახლეთა რიცხვი.

სოფ. საცხენეს მდებარეობა არ უვარგა, მთიანი ადგილია, ასე რომ სახარბიელო აქ კაცისათვის არა არის-რა.

პირველ გადმოსახლებაზე რუსები, როგორც ყოფილა, მოთავსებულან და გაუძლიათ და შემდეგ ზოგიერთ გადმოსახლებულთ მიუნებებიათ თავი და ცოლ-შვილით სხვაგან გადასახლებულან. ბოლოს და ბოლოს მომეტებული ნაწილი გადასახლებულა და მხოლოდ დარჩენილა 5—6 კომლი-ღა.

მთავრობას კიდევ გადმოუსახლებია რუსები, მაგრამ ვერ გაუძლიათ და კიდევ წასულან, რადგან აქ ცხოვრება ხელს არ აძლევდათ. ვინც პირველად გადმოსახლდნენ იმ დროიდან აქამდე სოფელ საცხენეს შეარჩა მხოლოდ 2 კომლი; არიან კიდევ სხვა რუსების მეკომურნიც ამათ გარდა, მაგრამ ისინი ახლად გადმოსახლებულნი არიან.

სოფ. საცხენეში წინად, როდესაც ლეკების არეულობა-აჯანყება საშიში იყო, იდგა აქ ჯარი, რომელიც იცავდა მდ. ალაზანს გაღმა-გამოღმით მდებარე სოფლებს ლეკების აოხრებისაგან. ჯარი რომ მოისპო, ახლა ორ-კლასიანი სამინისტრო სკოლა დაარსდა (1872 წ.) სამეურნეო განყოფილებით. ეს სკოლა აქ კარგა ხანს დარჩა; სოფ. ყვარელში მხოლოდ ამ 6—7 წლის წინად გადაიტანეს. ვიდრე სკოლა იყო, ამ სოფლის მეკომურთაც კარგო ეცხოვრებოდათ, და როდესაც გადაიტანეს, მაშინ სულ სხვა გარემოებაში ჩაცვივდნენ.

ამ ჟამად საცხენეში 19 კომლია, ორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომლის (ქართველებია) გარდა 10 კომლი სულ რუსები არიან. 17 კომლს რუსებისას მიზომილი აქვს ბლომა სახნავ-სათესი ადგილები, სულ 180 დესეტინა, და საძოვარიც რომ ჩავთვალოთ, მაშინ იმათ უხდებათ სახნავ-სათესი საძოვრით 200 დესეტინა, ჰხვდება თითოს 11 დესეტინაზე მეტი სახნავ-სათეს-საძოვარი. სოფ. ძველ-გავაზში თვითეულს კომლზე მოდის არა უმეტესი $1^{1}/_{2}$ დესეტინა სახნავისა, საძოვრით-კი $2^{1}/_{2}$, თითქმის ოთხჯერ ნაკლები, ვიდრე თვითეულს კომლს რუსებისას.

ასე ადგილების განაწილება ორ ახლო მდებარე სოფლებისათვის, რასაკვირველია, ვერ არის კარგი. ერთს საკმარისზე მეტი ადგილები ეჭიროს და მეორეს-კი ენატრებოდეს? 17 კომლს 200 დესეტინა სახნავ-სათეს-საძოვარი ადგილები და 700 კომლს სოფ. ძველი-გავაზის მცხოვრებთ-კი 1427 დესეტინის სივრცისა.

ამ ათი წლის წინად ზემოდ ხსენებულ სოფ. საცხენესის მეკომურმა რუსებმა რომ ვერ იკმარეს სახნავ-სათესი ადგილები, ადგნენ და დავა გამოუცხადეს სოფ ძველ-გავაზის მცხოვრებთ ზოგიერთ სახნავ-სათეს ადგილებზე. ედავებოდნენ 60 დესეტინაზე მეტს: „ჩვენზე მოზომილი ადგილები თქვენს ადგილებშია ჩაყოლილი და მოგვეცითო“. ძველ-გავაზის მცხოვრებლებმა პასუხი მისცეს, დავა სულ უსაფუძვლოა, რადგან, თუ მართლა თქვენი ადგილები ჩვენ გვიჭირავს, რატომ ამ 30—40 წლის განმავლობაში დავა არ აგვიტეხეთო. საცხენელებმა თავიანთი არ დაიშალეს; დავა და საჩივრები მაინც არ მოსპეს და რომელი სასამართლოს გზაც-კი იცოდნენ, ყველას მიჰმართეს. ძველ-გავაზის მცხოვრებნი ამ ჩივილს ყურადღებას არ აქცევდნენ, რადგან იცოდნენ, რომ სადავო ადგილები სწორედ იმათი იყო. საცხენის მცხოვრებმა ძალაც მიიტანეს ძველ-გავაზელებზე: „არ შემოგიშვებთ ამ სადავო ადგილებში, რადგან ჩვენ გვეკუთვნისო“. დავა ამ მამულებზე შემდეგ და შემდეგ ძალიან გამწვავდა. ერთმანეთს დაერეოდნენ და თავ-პირს ამტვრევდნენ: „არა, ჩვენია ადგილები, და არ შეგიშვებთო, არა ჩვენიაო“.

ბოლოს მაინც ვერას გახდნენ და ამ ღვინობისთვეში მოვდნენ სოფ. ძველ-გავაზში ადგილ-მამულების აგენტები და ის სადავო ადგილები—აფენი და ეგერზაური ჩააბარა ისევ ძველ მფლობელთ—ძველ-გავაზელებს.

კოტე ალაზნისპირელი.

რუსეთი

ამ დღეებში გარდაცვლილა თავმჯდომარე რადომის ოლქის სასამართლოსი პ. ა. ბელოუსოვი და დაუტოვებია საქველმოქმედო საქმეთათვის 170,000 მან.

— ნიჟნი - ნოვგოროდის საგუბერნიო სამმართველოს გადაუწყვეტია, ვსთხოვოთ მთავრობას $1^{1}/_{2}$ მილიონ მანათის სესხი ხალხის გამოკვების საჭიროებისათვისაო.

— პრიბალტიის გუბერნიებში უნდათ საქმეთ-წარმოება სათავად-აზნაურო დაწესებულებაში უეჭველად რუსულად იყოს შემოღებული. აქამდე იქ შინაური საქმეები ნემეცურს ენაზედ სწარმოებდა.

— ოკდომბრის დამდეგს ამხანაგური ვახშამი ჰქონდათ ლიტერატორებს პეტერბურგში. ფეხზედ ადგომით პატივი სცეს ახლად გარდაცვალებულთ ხსოვნას: მ. მ. ფილიპოვისას, რომელიც იყო „ნაუჩნოე ობოზრენიეს“ რედაქტორად, და ვ. რ. შჩიგლევისას, „ისკრის“ თანამშრომლად ნამყოფის კუროჩკინისა და სტეფანოვის რედაქტორობის დროს. შემდეგ კრებამ დიდის ამბით პატივი სცა ცნობილს პოეტსა და ბელეტრისტს პ. ფ. იაკუბოვიჩს (მელშინს), რომელსაც წელს დაუბრუნეს უფლებანი მცირეოდენის შეზღუდვით და რომელიც პირველად ეღირსა თავისუფლად მიეღო მონაწილეობა ამხანაგთა და თანამოკალმეთა ლხინსა და მუსაიფში.

— 24 ოკდომბერს იყო წლიური აქტი მოსკოვის აღმოსავლეთ ენათა ლაზარევის ინსტიტუტისა. წაკითხულ ანგარიშიდან აღმოჩნდა, რომ ინსტიტუტთან არსებულ გიმნაზიაში ყოფილა სულ 325 შეგირდი, ამ ჟამად-კი არის 343. გაუთავებია კურსი 25 შეგირდს. სპეციალურს კლასებში უსწავლია 81. 60 სტუდენტად ყოფილა და 21—თავისუფალ მსმენელად. სპეციალურის კლასების კურსი გაუთავებია 8 კაცს. ოკდომბერში ინსტიტუტთან დაუარსებიათ სალამოს კურსები აღმოსავლეთის ენებისა; ამ კურსებზედ 25 კაცი ჩაწერილა.

— 25 ოკდომბერს დაარსდა მოსკოვის უნივერსიტეტთან სტუდენტების სამკურნალო საზოგადოება. დაარსების დღეს უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში წარმოსთქვეს სიტყვანი პროფესორებმა: დიაკონოვმა, ოგნევმა, აჯემოვმა, ა. დურნოვომ, ალექსინსკიმ და იუდინმა.

— 28 ოკდომბერს დანიშნული იყო მოსკოვში საქველ-მოქმედო აზრით ლექცია ნ. ლუხმანოვისა: ახალის ლიტერატურის გავლენა დღევანდელს ახალგაზდობაზედ—**Вліяніе новѣйшей литературы на современную молодежь.**

— მოსკოვში გამოიფინა სურათები, დახატული იან სტიკას მიერ ჰენრიკ სენკევიჩის რომანისათვის Quo vadis?

— პეტერბურგის საიმპერატორო რომის კათოლიკეთა უნივერსიტეტში წელს მიიღეს 15 სტუდენტი. რიცხვი ყველა მოსწავლეთა სულ 46-ია.

— ზაბაიკალიეში თურმე 1000-მდე კაცია, შთამომავალნი ოდესღაც რუსეთიდან გადასახლებულ ყაზახთა, რომელთაც ტანი ჩვეულებრივის კაცისა აქვთ წელამდე და შემდეგ ფეხამდე ისეთი თეძოები და ბარძაყ-კანჭები აქვთ, როგორც 12—14 წლის ბავშვებს. ხუთი ამისთანა მახინჯი ამ ჟამად პეტერბურგში არიან ორთოპედიულს კლინიკაში.

— კერძო ეტლებზე პეტერბურგს ბაჟი და გადასახადი უნდა შემოიღოს.

— ვინმე პ. ვ—მ შესწირა ის ფული, რომელიც საჭირო იყო, რომ არ დაეთხოვნათ დედათა სამკურნალო ინსტიტუტიდან ის ქალნი, რომელთაც შეძლება არა ჰქონდათ სწავლისათვის დაწესებული გადასახადი შეეტანათ.

უცხოეთი

იაპონია. იაპონურ ჟურნალ „ოსტ-აზიენ“-ში, რომელიც ბერლინში გამოდის, უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია წერილი იაპონია-რუსეთის ურთიერთობის შესახებ. წერილის ავტორი გადაჭრით აცხადებს—იაპონიასა და რუსეთს შორის ომი აუცილებელია, მხოლოდ სასურველია, რაც შეიძლება, მალე ასტყდეს იგი: რაც უფრო მალე დაიწყება ომი, მით უფრო მალე ჩამოვარდება მშვიდობიანობა ჩინეთსა და იაპონიაში, მაშასადამე მთელს აღმოსავლეთშიაც. მაშინ მანჯურიასა და ციმბირის მკვიდრთ შეძლება ექნებათ თავისუფლად ისარგებლონ იაპონიის კულტურულ შრომის ნაყოფით და შეჰქმნან თავიანთთვის უფრო მშვიდობიანი და უფრო შეგნებული ცხოვრებაო. შემდეგ გაზეთს მოჰყავს ტოკიოს უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტის პროფესორ ტომიცუს აზრი შორეულ აღმოსავლეთის პოლიტიკურ ვითარების შესახებ.

პროფესორი ტომიცუ უკიდურესი მომხრეა რუსეთთან შეტაკებისა და, აი, რა საფუძვლით:

„1891 წელს იაპონიის მცხოვრებთა რიცხვმა იმატა 265,000, ხოლო 1,300 წ. 545,000 თო,—ამბობს ერთს თავის წერილში პროფესორი. თუ მომავალშიც ამ პროპორციით იმატა მცხოვრებთა რიცხვმა, იაპონელებმა უეჭველად უნდა იზრუნონ ახალშენთა მოსაპოვებლად, რათა მცხოვრებთა სიჭარბემ არ შეჰხუთოს და არ შეავიწროვოს ხალხი. საახალშენოდ-კი იაპონიას ყველაზედ უფრო აზიის სანაპიროები ემხრობა და უფრო ხელ მისაწდომიცაა ჩვენთვის, რათა უფრო ადვილად განვავრცელოთ ჩვენი გავლენა აზიაში. უპირველეს ყოვლისა კორეიასა და მანჯურიაში უნდა მოვიკიდოთ ფეხი. ამ ჟამად-კი მანჯურიაში რუსები ბატონობენ და ისე თავისუფლად ჰგრძნობენ თავსა, როგორც შინა. რუსებს აზრადაც არ მოსდით მანჯურიიდგან ჯარების გაყვანა და, თუ ასეთმა მდგომარეობამ რამდენსამე წელს კიდევ გასტანა, მანჯურია სრულიად გარუსდება. იაპონიას ახლა მეტად მარჯვე დრო აქვს, რომ რუსეთს ომი გამოუცხადოს; რუსეთის მისწრაფებანი მანჯურიის შესახებ ჯერ კიდევ არ განხორციელებულა სავსებით. თუ იაპონიამ არ ისარგებლა ამ მარჯვე შემთხვევით და მანჯურიიდგან ფეხი არ ამოაკვეთინა რუსეთს, იგი მედგრად მოიკიდებს ფეხს ჯერ მანჯურიაში, მერე თანდათან მისწვდება კორეიასაც და დასასრულ თვით იაპონიის დამოუკიდებლობას დაუწყებს მუქარასა. თუ რუსეთი მტკიცედ დამყარდა მანჯურიასა და კორეაში, იაპონელ ვაჭრებს აღარ შეეძლებათ განაგრძონ თავიანთ აღებ-მიცემობა და სრულიად უნდა აიბარგონ იმ არე-მარედგან; მაშინ ხომ ყოვლად შეუძლებელი იქნება ჩვენთვის ახალშენების დაარსება აზიის სანაპიროებში.

ამ ხანად ზღვაზე ჩვენ მეტი ძალა გვაქვს აზიაში, ვიდრე რუსებსა. მომავალ წელს-კი ჩვენი და რუსების საზღვაო მხედრობა გათანაბრდება. ჯერ-ჯერობით უპირატესობა ჩვენს მხარესაა, ხოლო ორ-სამ წლის შემდეგ რუსეთის ფლოტი დაემჯობინება ჩვენსას და მაშინ ველარც-კი შევებედავთ რუსეთს, მით უმეტეს, რომ რუსეთის მხედრობა საბოლოოდ დამკვიდრდება და გაძლიერდება მანჯურიაში.“

სერბია. ბელგრადელ გაზეთ „ველიკა სერბია“-ს უკანასკნელ ნომერში დასტამბულია წერილი სათაურით: „გაუმარჯოს სერბ-ბულგართა უნიას!“

ამ ჟამადაო,—სწერს ავტორი წერილისა,—ბულგარიის სამთავრო იმავ მდგომარეობაშია, როგორშიაც სერბია იყო 29 მაისამდე. ერის უფლებანი შელახულია ძალმომრეობით; მკვლელობითა და სისხლის ღვრით თანდათან ამზადებენ ნიადაგს დამდეგ დესპოტიზმისათვის.

რა შედეგიც მოჰყვება ამგვარ მართვა-გამგეობას, ეს სერბიაში ყველამ კარგად უწყის. უეჭველია, კარგად უწყის ესევე თვით ფერდინანდ მთავარმა, რომელმაც ყოველივე პატივისცემა დაჰკარგა ბულგართა ერისა და რომელსაც ზურგი შეაქცია ყველა დასმა, გარდა მთელის ხალხისაგან ათვალწუნებულ სტამბულოვის მომხრეთა, რომელნიც თავის სააგიტაციო იარაღად გაჰხადა მთავარმა.

საარჩევნო ბრძოლა ბულგარიაში მთავრობის სისტემის მომხრე დასის წინააღმდეგ-კი არაა მიმართული, არამედ პირადად მთავრისა. რომ ოპოზიციას დარჩენოდა გამარჯვება, არა თუ მარტო მთავრობა დაეცემოდა, სამართალშიაც კი მისცემდნენ მთავრობის წევრთ და თვით მთავარიც იძულებული შეიქნებოდა ხელი აეღო ბულგარიის ტახტზე. ამიტომაც აამხედრა მთავარმა და მისმა სისხლის მსმელმა მთავრობამ პოლიცია და ჯარი თავისუფალ არჩევნების წინააღმდეგ.

ადვილად წარმოსადგენია, თუ რა დასასრული ექნება ამგვარ მოქმედებას: ან მთავრობა გახდება იძულებული უკან დაიხიოს, ან ხალხმა უნდა მოიხაროს ქედი და დაჰმორჩილდეს მწარე ბედსა. მხოლოდ უნდა გვახსოვდეს, რომ ხალხის ძალაუნებურად დამორჩილება ხანგრძლივი არ იქნება.

ბულგარიაში ხმა-მაღლა გაიძახიან, დროა ჩამოვაგდოთ კობურგთა დინასტია და გამოვაცხადოთ ბულგარია-სერბიის უნიაო. პლოვდივში საჯაროდ დასწვეს მთავრის სურათი და ხმა-მაღლა გაიძახოდნენ: „გაუმარჯოს სერბ-ბულგართა უნიას! ძირს კობურგნიო!“

ნარკვევი

„ოდეს. ნოვ“-ი დიდის თანაგრძნობით ეგებება მთავრობის განზრახვას, ზოგიერთს ფაბრიკასა და ქარხანაში, საცა ქალები მუშაობენ, საფაბრიკო ინსპექტორებადაც ქალები იყვნენ დანიშნულნიო.

უპირველეს ყოვლისა, ეგ რეფორმა ზნეობრივს ჰაერს გაასუფთავებს ფაბრიკა-ქარხნებშიო.

ფაბრიკაო,—ამბობს გაზეთი,—ჰრყვნის დედაკაცს. ეს ფაქტია, რომელსაც ვერ უარჰყოფს ვერავინ, ვინც-კი იცის, რა გარემოებაში სწარმოებს იქ მუშაობა. და რაც უფრო იზრდება და მწიფდება ქალი, მით უფრო ძნელს მდგომარეობაში ვარდება ამ მხრივ. შეიძლება თამამად ვსთქვათ, რომ მუშა-ქალი მხოლოდ ვიდრე ბავშვია, მანამდეა გულ-დამშვიდებული და უზრუნველ-ყოფილი მის გაუპატიურების მსურველთაგან. როცა-კი ქალი გაიზრდება, მოსწიფდება და თავზედ ხელს მოისვამს, მაშინ იგი უკვე ნადირია, რომელსაც სდევნის ყველა ფაბრიკაში მომუშავე მამაკაცი. გონება-დამჯდარ დედაკაცს ხომ ერთად-ერთი გზა აქვს, ან უნდა შეაფურთხოს ფაბრიკას და გაეცალოს, ან კიდევ ხელი აიღოს თავისს ნამუსზედ.

განა შეურაცხყოფილი ქალი ინსპექტორთან წავა საჩივლელად? არა. არ წავა, იმიტომ რომ შერცხვება ინსპექტორისა.

სულ სხვა იქნებოდა, რომ ინსპექტორის მაგიერად ქალი იყოს დანიშნული ამ თანამდებობაზედ. დედა-კაცის წინაშე მუშა ქალებს ისე არ შერცხვებოდათ. თვით ქალი-ინსპექტორი მოახერხებს მასთან ისე ლაპარაკს, რომ გამოარკვიოს საგანი ამ მხრივ. თუ საჭიროა ფაბრიკის ატმოსფერის გასუფთავება, ეგ საქმე შეუძლიან მოახერხოს მხოლოდ საფაბრიკო ინსპექტორ-ქალების ინსტიტუტმა.

ამას გარდა, ეგ შემოღება საჭიროა საზოგადოდ იქ, საცა დედაკაცთა შრომა დიდს როლსა თამაშობს. უბრალო საჩივრისათვისაც-კი მუშა დედაკაცი უფრო ინსპექტორს ქალს მიჰმართავს, ვიდრე ინსპექტორს. უგეც არ იყოს, დედა-კაცთა შრომის ზედამხედველობას ბევრი ისეთი განსაკუთრებული თვისება აქვს, რომელიც გამოწვეულია თვით დედაკაცის აგებულების განსაკუთრებულ თვისებით.

—

ცენტრის ანუ შიაგულ რუსეთის გლეხ-კაცობის გაღატაკებისა და გათახსირების შესახებ მსჯელობს ჟურნალი „ხუტორიანინიც“:

გადატაკება ცენტრისა კარგა ხანია დაიწყო. მთავრობამ ეს შეატყო ჯერ ისევ 80-იან წლებში და ასეთი ღონისძიებანი იკისრა: გააუქმა სულზედ გადასახადი, ნადელების გამოსყიდვის ფული შეამცირა 11 მილიონით, ახსნა ბაჟი მა-

ფელეტონი

უბრალო შეცდომა და მწარე სიმართლე.

„ვეფხის-ტყაოსნის“ ახალ გამოცემის გამო.

ყველა ქართველი სიხარულით აივსო, როდესაც-კი ამ 15 წლის წინად გ. ქართველიშვილის გამოცემული „ვეფხის-ტყაოსანი“ დაინახა. მხატვრობა, არშიები ძვირფასი ქაღალდი, ლამაზი ყდა, დავარაყებულის გვერდებით—სწორედ რომ შეეფერებოდა დიდებულს თხზულებას. მხოლოდ მისი ფასი იბინებოდა, რადგან 15 მანათის გაღება ყველასათვის ადვილი არ არის თუმცა შემდეგ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებამ“, რომელსაც ეს გამოცემა შესწირა გ. ქართველიშვილმა, ფასი დაუკლო, მაგრამ ჯერაც ბევრი ცალი აწყვია გაუყიდავი.

ეს გამოცემა მხოლოდ თვალისათვისაა. არავის აზრადაც არ მოსვლია შინაარსი გაერჩია. რედაქტორმა თ-დ ივ. მაჩაბელმა რაღაც ცვლილება შეიტანა, მაგრამ არავინ არ ინდომა მისი გამოკვლევა. უკანა სიტყვაობაში ნათქვამია, რომ ბ-ნ იონა მეუნარგიას თაოსნობით შემდგარმა კომისიამ შეამოწმა „ვეფხის-ტყაოსნის“ ტექსტი ძველ ვარიანტებთანაო. ხოლო როგორ გამოიყენა რედაქტორმა კომისიის შრომა და რა ცვლილება შეიტანა თვით იმან,—არ ვიცით, რადგან კომისიის შრომა არ არის გამოქვეყნებული. თვით წიგნის გარეგნული სიფაქიზე და სიდიდეც აძნელებს მის ჩხრეკასა და შესწავლას. მოდი და ამისთანა წიგნი სცვითე და შენიშვნებით ააჭრელე.

ამ მხრივ დიდად გააადვილეს საქმე კერძო გამომცემლებმა, რომლებმაც წიგნი მთლად გადმობეჭდეს ხალხში გასავრცელებლად.

ჩვენ ამისთანა პატარა წიგნები მივიჩნიეთ გ. ქართველიშვილის გამოცემის ასლად და ერთი მათგანი (ბ-ნ თავართქილაძის გამოცემა 189? წ.) შევადარეთ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ ახალგამოცემულ სახალხო წიგნს. ამას გარდა, როგორც მკითხველი მიხვდებოდა, ხელთა გვქონდა რავდენიმე სხვა გამოცემა „ვეფხის-ტყაოსნისა“, რადგან, ვისაც ამ წიგნის შინაარსისა და ღირსების გაგება უნდა, ერთს რომელსამე გამოცემას არ უნდა დაემყაროს.

ბ-ნ თავართქილაძის გამოცემაში 1594 ტაეპია, ჩვენის აღნუსხვით. „წერა-კითხვის საზოგადოების“ ახალ გამოცემაში-კი 1576 ტაეპი (გ ქართველიშვილის გამოცემაში ტაეპი არ არის აღნიშნული). ჩვენ გვინდოდა გაგვეგო, საიდგან მოხდა ესეთი განსხვავება, და ამ აზრით მხოლოდ ეს ორი გამოცემა შევადარეთ. შინაარსის გასარკვევად-კი სხვა გამოცემებიც წავუყენეთ. შევნიშნეთ, რომ ზოგი ტაეპი, კ. თავართქილაძის გამოცემაში დაბეჭდილი, ახალ გამოცემაში არ არის და ერთი ტაეპი ახალ გამოცემისა კ. თავართქილაძის კამოცემაში არ მოიპოვება. ეს გარემოება ჩვენის შენიშვნების ბოლოს აღვნიშნეთ, სხვათა შორის, და არა უმთავრესად. მხოლოდ ამისათვის-კი არ დავდეთ წუნი ახალ გამოცემას, არამედ სხვა მრავალ გადაკეთებისათვის. ტაეპების პოვნა ადვილია ჯერ-ჯერობით, ერთ-ორ დღეს შეიძლება გადასთვალო ყველა გამოცემების ტაეპები და იპოვნო მეტ-ნაკლებობა; ხოლო ტექსტის შემოწმებას და აღდგენას დიდი ჯაფა და დრო უნდა—სად სიტყვაა გადასწორებული, სად შიგ ასო აქვს ჩასმული და გადასმული ანუ გამოკლებული და სად ნიშნები შეცვლილი, აზრის გადასხვაფერებისათვის, და სხვა.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ გამგეობის ახალ გამოცემის რედაქტორმა დ. კარიჭაშვილმა მხოლოდ ის უბრალო შეცდომა დაიხვია ხელზე, რომ ერთის დედნიდგან გადმობეჭდილი ორი გამოცემა არც ერთიერთმანერთს და არც დედანს არ ეთანხმებიან. თუმცა ამ უბრალო შეცდომის გასასწორებლად ორი-სამი სტრიქონი კმაროდა, მაგრამ დ. კარიჭაშვილმა ორი რიხიანი, „მეცნიერული“ ფელეტონი კამოაცხო, რომლის კილოსა და ზრდილობიანობას არ შევეხებით.

რა-კი ეს შეცდომა შევნიშნეთ, ამაზედ ლაპარაკი მეტი-ღაა. მაგრამ ბ-ნ კარიჭაშვილმა რაღაც მოსაზრებით ავტორიტეტები წამოაყენა, წარჩინებული ლიტერატორები და ენის მცოდნენი, და თვით მათ გუნდში გაერია: როგორ ჰბედავთ ჩვენს წინააღმდეგ ხმის ამოღებასაო!

ეს ავტორიტეტები ჩვენს წინააღმდეგ ძლიერნი და ცხოველნი ყოფილან, ხოლო თვით დ. კარიჭაშვილის შესახებ-კი—უძლურნი და დავრდომილნი.

რუსთაველს ესე დაუწერია, ხოლო ეგ შეცდომაა, და აი ესე უნდა დაეწერაო,—ბრძანებს დ. კარიჭაშვილი თავის შენიშვნებში არა ერთს ადგილს და ასწორებს კიდეც „ვეფხის-ტყაოსანს“.

ძალიან სწავლული ყოფილა დ. კარიჭაშვილი!

ვახტანგ მეფე ამ აზრისაა, დ. ჩუბინაშვილს ესე ჰგონებია, მაგრამ მე სხვანაირად განვსაჯე: ჩემი აზრი უტყუარია და ჩემებურად გადავაკეთეო.

დიდი მეცნიერი გამოდგა დ. კარიჭაშვილი!

ამ ოცის წლის წინად წარჩინებულმა ლიტერატორებმა და ენის მცოდნეებმა გაარჩიეს ,,ვეფხის-ტყაოსანი'', და ქართველიშვილის გამოცემა იმათ შენიშვნების თანხმად არის შემუშავებულიო, მაგრამ მაინც ჩემებური სჯობსო,—უცილობლობს ახალი მეცნიერი და თავისებურად აკეთებს კიდეც.

წარჩინებულთა წარჩინებული ლიტერატორი და ენის მცოდნეც ყოფილა დ. კარიჭაშვილი!

მეცნიერობა იმაშიც ეტყობა დ. კარიჭაშვილს, რომ ძნელი საქმე ეხერხება და მცირე-კი ეძნელება; ,,ვეფხის-ტყაოსნის'' გადაკეთება-კი შესძლებია და მისი შინაარსი-კი ვერ გაურკვევია და მდაბიო სიტყვით ვერ გადმოუცია.

დაიწყო თუ არა თავის წინასიტყვაობაში როსტევან მეფის ამბავი, იქვე პირველ გვერდზე რავდენიმე ტყუილი გახანხლა.

როსტევანმა და ავთანდილმა მოინადირეს. „ნადირობის შემდეგ,—განაგრძობს მეცნიერი,—მეფეს აცნობებენ (?!), რომ წყლის პირს ზის ერთი მშვენიერი ვაჟკაცი, რომელსაც აცვია ვეფხის ტყავის კაბა''.

ეგრე არ გახლდათ. როსტევანი და ავთანდილი, ,,იგი ორნივე საგრილად გარდახდეს ძირსა ხეთასა'' და თავის თვალით ,,ნახეს უცხო მოყმე ვინმე, სჯდა მტირალი წყლისა პირსა''. ეს ამბავი არავის უცნობებია მეფისთვის და ,,ატყობინებენ'' ხომ ნამეტანია.

როცა უცხო მოყმე გადიკარგა,—განაგრძობს მეცნიერი,—„მეფეს მეტად საკვირვლად დარჩა ამ ვაჟკაცის ნახვა და მოინდომა შეეტყო მისი ვინაობა. ამ აზრით გაგზავნა თავის საბძანებლის ყველა კუთხეებში კაცები, მაგრამ ვერაფერი შეიტყო. მაშინ მეტად დაღონდა მეფე, რადგან იფიქრა ადამიანი-კი არა, ეშმაკი იყოვო, მის ნახვა კარგს არას უნდა მოასწავებდესო. ვეფხის ტყაოსნის ამბავმა დააინტერესა აგრეთვე თინათინი. მან მოინდომა უთუოდ გაეგო მის ვინაობა და ეს საქმე მიანდო სპასპეტს ავთანდილს, რომელიც მას უყვარდა და რომელსაც ის უყვარდა.“

ეს ადგილი დამახინჯებულია.

მეფე მაშინ-კი არ დაღონდა, როდესაც კაცნი დაბრუნდნენ და ამბავი ვერ მოუტანეს, არამედ წინად, როცა უცხო მოყმემ კაცნი დაუხოცა და „ვითა ეშმა გადიკარგა“, რადგან ეს მოვლენა ღვთის წყრომად მიიღო. ხოლო როცა კაცნი დაბრუნდნენ, მაშინ დამშვიდდა, მაცდური ყოფილა და მაჩვენებია სიტკბოების

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიდზედ 10 მილიონამდე და დასასრულ გლეხ-კაცთა შემწეობისათვის, რომ მამულები შეეძინათ, დაარსდა საგლეხ-კაცო ბანკი... ყოვლმავე ამან მაინც ვერ უშველა ხალხის სიღარიბეს და გაღატაკებას. ზოგან იმდენი «ნედოიმკები» დაატყდათ გლეხებს, რომ ორ-სამის წლის გადასახადს უდრიდა.

მართლაც და, როგორც მცოდნე კაცნი ამბობენ, ისეა შუაგულ გუბერნიების გლეხ-კაცობა გაღატაკებული, რომ სული ძლივს-ღა უდგია და ერთის წლის მოუსავლობა საკმაოა, რომ ხელი სამათხოვროდ გაუხდეს გასაწოდებელი.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი.

სამშაბათს, 28 ოკდომბერს, ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქმნა შექსპირის დიდებული ნაწარმოები „ჰამლეტი“. «ჰამლეტი» —გულსაკლავი ამოკვნესაა დატანჯულის სულისა, სევდაა თანამედროვე ადამიანისა, რომელსაც ვერსად ვერ უპოვნია სულიერი მშვიდობა, ვერ მოურიგებია ერთმანეთში ღრმა რწმენა და უსასოება, ცოდნით აღჭურვილი გონება და ცრუმორწმუნე გული, შურის-ძიების წყურვილი და უსაქმო ლოდინი, ვერ დაუძლევია ეჭვი, რომელიც ყოველს მის სიტყვას, სურვილს გადაჰფარვია, შეუბოჭია მისის სულის ძალა.

ეს ტრაგედია რთულია, როგორც სიცოცხლე ადამიანისა და ამიტომაც მისი წარმოდგენა ადვილი საქმე არ არის.

ჩვენს სცენაზედ „ჰამლეტმა“ საერთოდ სუსტად ჩაიარა. ვლ. მესხიშვილი კარგი ამსრულებელია ჰამლეტის როლისა, სცდილობს კიდეც, ხანდახან შეიძლება არა საბუთიანადაც, თავისი რამ შეიტანოს ამ ძალის გაპიროვნებაში,—მაგრამ იმ საღამოს წარმოდგენის დასაწყისშივე შევატყეთ უქეიფობა და ამიტომაც მის თამაშობას მოქანცვა, ძალდატანება ეტყობოდა. უკანასკნელ მოქმედებაში ხომ მსახიობი სულ მოიღალა, ხმაც წაერთვა. სწორედ სამწუხარო და დამტანჯავი იყო მსახიობის ცქერა: ნიჭი, მომზადება, ჰამლეტის რთული ბუნების შეგნება—ყველა ეს ხელთა ჰქონდა, მაგრამ ვერ იჩენდა-კი. დანარჩენი მოთამაშენი, ნ. ჩხეიძისა (ოფელია), გედევანოვისა (პოლონიუს) და შათირიშვილის (ჰორაციო) გარდა, ყველანი სუსტობდნენ.

ბ-ნ ივანიძეს, როგორც მსახიობს, არა უჭირდა-რა, მაგრამ, როგორც აჩრდილი-კი არ ვარგოდა. არამც თუ აჩრდილს, ხორც-შესხმულ ადამიანსაც-კი გაუჭირდება ისეთი რიხიანი ხმით და ისე სხაპასხუპით ლაპარაკი, რომელიც ამის გამო მაყურებელთათვის სულ გაუგებარი დარჩა.

რაც შეეხება ქ. გამყრელიძისას (ჰერტრუდა) ჩვენ მას ვურჩევთ თავის დღეში აღარ გამოვიდეს მაგ როლში. არც შეხედულებით, არც თამაშობით დედოფალს არ წააგავდა ეს მსახიობი ქალი, რომლის სახე არავითარ მიმიკით გრძნობის გამოსახვას არ ემორჩილება.

პიესა რიგიანად იყო დადგმული. თეატრი ხალხით სავსე იყო.

ქ. ყი—ნი.

—

ქუთაისი. ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ უკვე გამართა ორი წარმოდგენა 24-სა და 26 ამ თვისას. პირველად წარმოადგინეს «სამშობლო». მართალი უნდა ვსთქვათ, რომ ქუთაისის სცენაზედ ჯერ არ გვინახავს ეს პიესა ასე ხელოვნურად მოწყობილი, როგორც ამ დღეს იყო. არტისტების თამაშობის შესახებ აქ არას ვიტყვი, რადგანაც „ივერიის“ ფურცლებზედ უკვე იყო დაბეჭდილი ამავე პიესის თამაშობის შესახებ ტფილისში, მით უმეტეს, რომ როლები ისე იყო განაწილებული, როგორც ტფილისში. 26 ს-კი ითამაშეს, „სიძე-სიმამრი“ და „სტუმარი“. ორმავე პიესამ ლამაზად და კარგად ჩაიარა. ქუთაისის საზოგადოება ნათლად დარწმუნდა იმ დღეს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ყველა ჩვენ მსახიობთა შეერთებას.

ასე გვგონებოდათ, მსახიობნი ერთმანეთს ეჯიბრებიან თამაშობაშიო. სრული იმედი გვაქვს, რომ მომავალშიაც ასე კარგად ჩაივლის წარმოდგენები და მსახიობნიც არ დააკლებენ მეცადინეობას.

უკანასკნელ წარმოდგენას დაესწრო დრამატიულ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ბ-ნი ნ. გ. ქართველიშვილი. როგორც გადმოგვცეს, უკვე შეუდგენია ფილიალური განყოფილება გამგეობისა, რომელიც იმოქმედებს ქუთაისსა და ფოთში.

არ შემიძლია არ აღვნიშნო ერთი არასასიამოვნო მოვლენა: წარმოდგენებზედ ხალხი ნაკლებად დაესწრო.

პირველ წარმოდგენაზედ თეატრი არ იყო სავსე და ზოგიერთებმა ახსნეს ეს ამბავი მით, რომ პიესა „სამშობლო“ ამ წლის განმავლობაში რამდენჯერმე იყო წარმოდგენილი და საზოგადოებას ვითომ მოსწყინდაო, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, მეორე წარმოდგენაზედ საზოგადოება უფრო ნაკლებად დაესწრო. მართლაც და, ჩვენი ინტელიგენცია მაინცა და მაინც არ სწყალობს ქართულს თეატრს და რა მიზეზია, ამისი რა მოგახსენოთ. კიდევ კარგი, რომ ქანდარა ყოველთვის სავსე არის და ეს შველის საქმეს, თორემ თქვენი მტერი, ზარალის მეტი არა იქნებოდა-რა და გაძნელდებოდა ქუთაისში დასის შენახვა. ნუ თუ ადგილების ფასი აფრთხობს საზოგადოებას? არა მგონია, ვინაიდგან ფასი ადგილებისა ქუთაისში დიდი არ არის: პარტერის პირველ წყების ადგილი ჰღირს 2 მ. 70 კაპ. უკანასკნელი-კი 90 კაპ. არა მგონია, რომ ეს ფასები დიდი იყოს, მით უმეტეს, რომ კვირაში იმართება არა უმეტეს ორის წარმოდგენისა; ან და, შეიძლება ქუთაისის ძველ დასის ყურება მოსწყინდათ? ვნახოთ, ბოლო რა იქნება. ეხლა ხომ ახალი შეერთებული დასი მუშაობს, რომელშიაც იღებენ მონაწილეობას საუკეთესო ჩვენი მსახიობნი. იმედსაც ნუ დავკარგავთ, თუ პირველმა ორმა წარმოდგენამ სრულად არ დააკმაყოფილა გამგეობა ნივთიერად. სეზონი მხოლოდ იწყება და ხალხიც თანდათან უფრო მეტი ივლის.

დასასრულ, უნდა მივაქციოთ თეატრის გამგე კომისიის ყურადღება იმ გარემოებას, რომ ხშირად თავის ადგილებზედ არა სხედან პარტერში: ზ.ნ ჩამოდიან ქანდარიდან, ან და ვისაც უკანასკნელი რიგის ბილეთი აქვს აღებული, პირველ მოქმედების შემდეგ ან პირველ, ან მეორე რიგში ამოჰყოფს თავს, ასე რომ კაცს ჰგონია შემოსავალი ბევრი არისო და ნამდვილად-კი არა არის.

ქუთაისის თეატრში იყო დანიშნული ოპერის წარმოდგენები 28 და 29 ამ თვეს. თუმცა ფიგნერი მონაწილეობას არ იღებდა, მაგრამ საზოგადოება მაინც მიაწყდა ბილეთებს და წინ-და-წინვე იყო გაყიდული 800 მანეთზედ მეტის ბილეთები. რა თქმა უნდა, რომ ამ ორ წარმოდგენაზედ არავინ დააკლდებოდა, რადგანაც ოპერა ქუთაისში ძვირად არის, მაგრამ ქუთაისის უიღბლობამ აქაც თავი იჩინა. ბ-ნმა ფიგნერმა შესცვალა აზრი და უარი შემოთვალა,—ვეღარ გავმართავ წარმოდგენებსაო. წარმოიდგინეთ, რა უსაფუძვლო მიზეზი მოუწერია კომისიისათვის: ქუთაისიდგან ბევრი წერილი მივიღე, რომ შემოსავალი ნაკლები იქნებაო, რადგან თვითონ მე ვერ მოვდივარო.

თეატრის კომისიამ დეპეშით აცნობა მაშინვე, რომ შემოსავალი კარგი გექნებათ, ვინაიდგან 800 მან. მეტი უკვე შემოვიდაო, და ისიც დასძინა, რომ უსათუოდ წარმოდგენები გაჰმართეთ და ორკესტრიც თან წამოიყვანეთო. აქ ვიღამაც ხმა გაავრცელა, რომ ფიგნერმა აქ გამოსაგზავნი ორკესტრი ვერ იშოვნაო.

თუმცა კომისია დარწმუნებული იყო, რომ მისის დეპეშის შემდეგ ბ-ნი ფიგნერი თავისს პირველს გადაწყვეტილებას არ გადაუხვევდა და წარმოდგენებს გაჰმართავდა, მაგრამ ხელმეორედ გადაწყვეტილი უარი მოუვიდა. ისიც კი მოუწერია, თუ საზოგადოებას ჰსურს, კონცერტს გავმართავო და მე თვითონ მივიღებ მონაწილეობასაო. არ ვიცით, კონცერტი გაიმართება თუ არა. საზოგადოება ძლიერ გულდაწყვეტილი დარჩა. ნამდვილი მიზეზი მაინც ვერ გავიგეთ, ცოტა შემოსავლისა თუ უორკესტრობის ბრალი არის, რომ წარმოდგენები აღარ გაიმართება. მგონი, რომ უორკესტრობის მიზეზი უფრო უნდა იყოს.

—

ოზურგეთი. კვირას 19 ოკდომბერს ჩვენმა სცენის მოყვარულთა დასმა გამართა ყოფილ სამხედრო კლუბის დარბაზში ორი (მეათე) წარმოდგენა, ერთი დღით და მეორე ღამით. დღის წარმოდგენა ადგილობრივ მოწაფე ქალთათვის იყო გამართული. წარმოადგინეს: „ადვოკატი მელაძე“ და „ორი მშიერი“. დაესწრნენ საეპარქიო სასწავლებლის მოწაფენი და რამდენიმე საქალაქო სკოლიდანაც, ხოლო პროგიმნაზიიდან არც ერთი. გვიკვირს-კი რატომ?!.

საღამოს ითამაშეს: „ეხლანდელი სიყვარული“ ვ. აბაშიძისა და „უჩინ-მაჩინის ქუდი“ გ. ერისთავისა. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. მშვენივრად ასრულებდა ნუცას როლს ქ-ნი ევ. წუწუნავა. სასიხაროლოა, რომ რაც ხანი გადის, უფრო მეტს ნიჭს და დაკვირვებას იჩენს. ქ-ნი წუწუნავა, ამ საღამოს ნუცას როლში, უბრალო სცენის მოყვარე კი არა, არტისტი ქალი გეგონებოდათ. ჩვენ თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ქ-ნ ე. წუწუნავს სასცენო ნიჭი ეტყობა და უფრო კარგ და გამოცდილ ხელმძღვანელის ხელში კარგი არტისტი ქალი იქნება!.. კარგები იყვნენ ბ-ნნი ალ. წუწუნავა თ. ჯამბარაშვილი და კ. ბებურიშვილი ახირებულაძის როლში. ბ-ნი ვ. უწყინარიძე იაკობ სასტიკაძის როლს ასრულებდა და, მართალი უნდა ვსთქვათ, ეს როლი მისთვის შეუფერებელი იყო. ყველაფერში ზედ-მეტი ძალდატანება ეტყობოდა: მიხვრა-მოხვრაში, ლაპარაკში, ხან ისე ჩაუწყდებოდა ხმა, რომ ვერაფერს გაიგონებდით!.. ქ-ნი დ. ჩიგოგიძისა ნატალიას როლს ასრულებდა. ბ-ნი ხურციძე გეგეს როლს...

„უჩინ-მაჩინის ქუდი“ ძალიან მხიარულად ჩაატარეს, საზოგადოების სიცილ-ხარხარს დასასრული არ ჰქონდა, მეტად კარგი იყო ვ უწყინარიძე კიკოლიკას როლში. ამნაირ როლებს ის მშვენივრად ასრულებ!

საზოგადოება წარმოდგენას ბევრი არ დასწრებია და, ვინც დაესწრო ძალიან ნასიამოვნები დაბრუნდა.

აქვე არ შეგვიძლიან არ ვუსაყვედუროთ, ოზურგეთის საზოგადოების იმ ნაწილს, რომელსაც არ გაუჭირდება ერთის და ორის მანეთის დახარჯვა და ასეთ გულ-გრილობას-კი იჩენს თეატრისადმი და წარმოდგენებს ნაკლებათ ესწრება. ჯერ იყო და ამბობდნენ, „როტონდაში“ ვერ დავესწრებით წარმოდგენებს, „გავცივდებითო!“ ახლა ხომ მაინც ოზურგეთის საუკეთესო სახლში იმართება წარმოდგენები და მშვენივრადაც არის მოწყობილი... ვერც წარმოდგენებზე იტყვიან საყვედურს სცენის მოყვარულთაგან უკეთესი წარმოდგენა, თამაში, იშვიათია.

დასასრულ, როგორც გაზეთებიდან გვაქვს გაგებული, ტფილისის დრამატიული დასი აპირებს, რამდენიმე წარმოდგენები სხვა დაბა-ქალაქებშიაც გამართოს და ურიგო არ იქნება, ჩვენც გადმოგვხედავდეს მოწყალების თვალით, ერთ, ორ წარმოდგენას აქაც გაჰმართავდეს ამ ცოტა ხანში, რადგან წარმოდგენისათვის მშვენიერი სახლი გვაქვს!

მხიარულიძე

ბიბლიოგრაფია

(შემდეგი *)

Gli Armeni cattolici in eorgia el e questioni fia cattolici Armeni e Georgiani.

აგრეთვე ყველა ჭეშმარიტებას მოკლებული და ცხადი სიცრუეა ტფილისში სომხის კათოლიკის ეკკლესიის არსებობა, რასაც ავტორი საუცხოვო დაჟინებით გაიძახის და იჩემებს. ამას არც ერთი მწერალი და არც ერთი მგზავრი არ მოგვითხრობს, ამისი უმცირესი კვალიც არა სჩანს.

1878 წლამდის ტფილისში ერთად-ერთი კათოლიკე ეკკლესია იყო, ესეც მუდამ ლათინის ტიბიკონისა და ლათინის წესის მღვდლების ხელში, რადგან ეს ეკკლესია წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს იმ ლათინის წესის ეკკლესიას, რომელიც 1240 წელს ევროპიდამ ტფილისში მოსულმა დომინიკიანმა მისიონერებმა გააშენეს, რომელიც 1329 წ. შეიქმნა ლათინის წესის საეპისკოპოსო კათედრად და რომელიც, 1663 წ., კაპუჩინებმა აღადგინეს და მოსძლებს დღევანდლამდის. ამ ეკკლესიის თვით უკანასკნელი ელემენტიც დაღადებს, რომ იგი ლათინის მოძღვრების გაშენებული, მუდამ ლათინის წესის ეკკლესია ყოფილა და არა სომხისა. მასში სომხის წესის მღვდლები მხოლოდ ზოგჯერ და შემთხვევით და დროებით ყოფილან, სტუმრის მსგავსად, როგორც თვით ავტორი მამა ნაჰპეტიანი ბრძანდება ამჟამად. კაპუჩინებს თუ პოლონელ მღვდლებს, იგინი დროებით მიუწვევიათ მარტო აღსარების სასმენლად უცხო ქვეყნიდგან დროებით მოსულ მეფურნეთა და ვაჭარ-მუშა სომხებისათვის. ამისათვის იმათ ამ ეკკლესიაში სხვა არაფერი უფლება ჰქონიათ. მართლადაც, რომ დიდი თავხედობა და გლისპობაა ავტორისა, რომ ამნაირ ცხადზედ უცხადეს ისტორიულ ფაქტებს უარყოფს და დაჟინებით გაიძახის, ეს სომეხ კათოლიკის ეკკლესიაო, ეს ჩვენ გვეკუთვნისო!

აგრეთვე ძლიერ სცდება ავტორი, რომ მთავარ-მართებლების წარდგენილი მოხსენებანი ჩვენს წინააღმდეგ საბუთად მოაქვს.

გენერალ-ლეიტენანტ კნორინგის რაპორტში, რომელიც იქმნა წარდგენილი 12 აპრილს, 1802 წ. ნათქვამია:

> „Прибывъ въ Тифлисъ сего апрѣля 9-го числа и приступивъ немедленно ко исполненію Всевысочайшаго повелѣнія Вашего Величества, даннаго мнѣ въ 12-й день сентября 1801 года, я сего числа обнародовалъ здѣсь въ соборныхъ храмахъ – грузинскомъ, Армянскомъ, **римско-католическомъ** и въ магометанской мечети და სხ. *).

მათში არც ამ რაპორტში და არც სხვებში ქართველ კათოლიკეების ხსენება არ არის, ხოლო იმას-კი არ ფიქრობს, რომ ეს განგებ გამოტოვებულია, რადგან საჭი-

---

*) იხ. «ივერია» № 230.

*) გაზ. „კავკაზი“ 14 აპრილს 1902 წ.

დასამჯარებლადო (ტაეპი 118, 119): „გამიშვია შეჭირვება, არა მგამა ყოლა მეო“... ეს სთქვა და „სიხარულით თამაშობა ადიადა“.

ეს უბრალო შეცდომა არ არის, არამედ ამტკიცებს „ვეფხის ტყაოსნის“ გმირების ხასიათის გაუგებრობას ახლად მოვლენილ მეცნიერის მიერ. გამოდის, ვითომ თინათინმა ავთანდილი გასწირა მამის დასამშვიდებლად და თავის ქალურ ცნობის-მოყვარეობის დასაკმაყოფილებლად.

ტყუილია! თინათინმა მაშინ გაჰგზავნა ავთანდილი საძებნელად უცხო მოყმისა, როდესაც მეფე სრულიად დამშვიდდა, და გაჰგზავნა იმისთვის, რომ თვისი ავთანდილს მრავალთათვის შეუძლებელი საქმე შეესრულებინა და სახელი მოეხვეჭა.

ეს ადგილი კარგა ახასიათებს თინათინსაცა და ავთანდილსაც...

ტარიელმა რომ ხვარაზმშა მეფის შვილი მოჰკლა და თავის ქალაქში გაიქცა, ინდოთ მეფეს შეუთვალა,—განაგრძობს ბ-ნი მეცნიერი,—„ხვარაზმშაჰის შვილი იმიტომ მოვკალ, რომ ინდოეთის მიცემას უპირებდით. ეს პასუხი რომ შეუთვალა, თან გულზე დარდი მოაწვა, რადგან პასუხი სრულებით მართალი არ იყო, რაოდენადაც ის შეეხებოდა ნესტან-დარეჯანს. შეწუხებული ტარიელი გავიდა ქალაქ გარედ და ზღუდითგან დაიწყო ცქერა იქითკენ, სადაც ნესტან-დარეჯანი ეგულებოდა».

არც ეს არის მართალი.

დარდის მიზეზი ტყუილი პასუხი-კი არ იყო, რადგან ეს პასუხი წინადვე იყო ნესტან-დარეჯნის მიერ მოგონილი და ტარიელთან ერთად გადაწყვეტილი, არამედ კაცის-კვლა, აღმზრდელ მამა-მეფესთან შერცხვენა, მის სურვილისა და ბრძანების დარღვევა და ნესტან-დარეჯნის ამბის უცოდინარობა. თვით ტარიელი ამბობს:

ესე კაცნი გამეგზავნეს,
გონებასა გავეშმაგე. (,)
რომე მისი ვერა მეცნა,
ამას უფრო დავედაგე.

გ. ქართველიშვილისა (ტ. 551) და დ. ჩუბინაშვილის (ტ. 562) გამოცემაში მეორე სტრიქონის შემდეგ მძიმე უზის და არა წერტილი, რომელიც აზრს უცვლის.

საერთოდ შინაარსი მეტად უფერულად და არეულ-დარეულად არის მოთხრობილი, მკითხველს ხალისს დაუკარგავს თვით «ვეფხის ტყაოსანი» წაიკითხოს.

აი, ამისთანა მეცნიერისათვის მიუნდვიათ „ვეფხის ტყაოსნის“ რედაქტიარობა, რომელიც გვაიძულებს უთუოდ იმისებურად წავიკითხოთ და შევიგნოთ შინაარსი.

გავანებოთ თავი ამ მეცნიერს და საქმეზე ვილაპარაკოთ.

—

რაც ჩვენ ფელეტონებში ვთქვით „ვეფხის-ტყაოსნის“ გადაკეთების შესახებ, სავალალოდ, ყოველივე მართალია. დ. კარეჭაშვილმა მიგვითითა: „ჭირი მეზობლისასაო“, და, მართლაც, დავრწმუნდით, რომ გადაკეთების სათავე გ. ქართველიშვილის გამოცემაში უნდა ვეძებოთ. ჩვენგან წინად ნაჩვენებ ტაეპებისა და სხვაბის (თვრამეტისა) განდევნა ამ გამოცემას ეკუთვნის. სიტყვებისა, ასოებისა და ნიშნების გადაკეთებაც, აზრის გადასხვაფერებისათვის, ამ გამოცემის რედაქციას უნებებია. რაც ამ დიდ წიგნიდგან გადმობეჭდილ კერძო გამოცემებში კორექტურულ შეცდომად მიგვაჩნდა, თვით დედანში განგებ არის შეტანილი. ხოლო რაც წინანდელმა რედაქციამ დააკლო, ის დ. კარეჭაშვილს დაუმთავრებია.

თუმცა „შემუშავება“ ამ წიგნისა იმ კომისიას მიეწერება, რომელიც ამ ოცის წლის წინად იყო შემდგარი, მაგრამ, ვიმეორებთ, ამ კომისიის შრომა არ არის გამოქვეყნებული, და არ ვიცით, „ვეფხისტყაოსნის“ გადაკეთებაში რა წილი უძევს კომისიასა და თვით რედაქტორს თავ. ივ. მაჩაბელს. არ ვიცით, რომელ წარჩინებულ მწერალსა და ენის მცოდნეს, რა მონაწილეობა ჰქონდა მიღებული, რამდენჯერ დაესწრო კრებას და რაგვარ გადაკეთების მომხრე იყო *). კომისიის ყველა წევრებს ერთგვარი მონაწილეობაც რო ჰქონოდათ, მაინც კომისიის აზრი მხოლოდ აზრადა რჩება და მისი დადგენილება სავალდებულო არ არის, მით უმეტეს, რომ, როგორც გაგვიგია, კომისიაში ყოველი აზრი ხმის უმეტესობით სწყდებოდა თურმე. ერთმა კომისიამ არ უნდა მოგვისპოს ხალისი „ვეფხის-ტყაოსნის“ გამორკვევისა და შემუშავებისა, რადგან შესაძლოა, ერთმა კაცმა უკედ შეისწავლოს ლიტერატურა ამ საგნისა და უკედ გამოარკვიოს საქმე, ვიდრე მთელმა კრებულმა. საწყენად ნურავინ მიიღებს ამ სიტყვებს,—რუსთველთან ყოველი ეხლანდელი ავტორიტეტი მქრალია.

არ ვეთანხმებით კომისიას, რომ ტაეპები განუდევნია. მართალია, „ვეფხისტყაოსნის“ 1646 წლის ვარიანტმა დაარწმუნა კომისია, რომ ორის საუკუნის განმავლობაში 18 ტაეპია ჩამატებული, მაგრამ საფიქრებელია, რომ თვით ის ვარიანტი სრული არ არის. ზოგი კომისიის მიერ დაწუნებული ტაეპი, ჩვენის აზრით, ისე ეწყობა ტექსტს და ისე ლაზათიანია, რომ ადვილი გამოსამეტებელი არ არის გასაძევებლად. ამისთანა მძიმე საქმეში აჩქარება შეუძლებელია. რო დამტკიცდეს კიდეც, რომ ზოგი ტაეპი რუსთველს არ ეკუთვნის, მაინც ამისთანა ტაეპი, როგორც ნიმუში და დამახასიათებელი რუსთველის წამბაძავ ძველ მწერლებისა, თუნდ მე-XVII—XVIII საუკუნოებისა, სხოლიოში მაინც უნდა დარჩეს. არამც თუ დ. ჩუბინაშვილის გამოცემისა, არამედ სხვა ვარიანტების ტაეპებიც კი რო სხოლიოში იყოს მოყვანილი, ურიგო არ იქმნება.

რას ეგვანება, რომ ყველა გამომცემელმა და რედაქტორმა თავისებურად აკეთოს და ჯიჯგნოს. აიღეთ დღევანდელი გამოცემები, შეუყენეთ ერთმანერთს, თუ ერთი მეორეს ეთანხმებოდეს და წააგავდეს. ამ ნაირად ხომ სრულიად გადასხვაფერდება დიდებული პოემა, რომელსაც ჩვენამდე მოუღწევია.

ეს ბარბაროსობაა!

ისე აირია საქმე, რომ, ჩვენის აზრით, უნდა განვაგდოთ ყოველი ახალი გამოცემა და ისევ ერთ-ერთს ძველს ვარიანტს დავუბრუნდეთ და საქმე თავიდგან დავიწყოთ. რადგან ერთად-ერთი მეცნიერული შრომა ამ საქმეში დ. ჩუბინაშვილს მიუძღვის, საჭიროა მისი გამოცემა უცვლელად დაიბეჭდოს მის ფრიად ძვირფას განმარტებით და ეს ვარიანტი შემუშავდეს აუჩქარებლად. დაარსდეს რედაქცია, გამოცხადდეს პროგრამმა შემუშავებისა და ნაწილ-ნაწილად გამოირკვეს მეტ-ნაკლებობა ამ ვარიანტისა. რედაქცია შეადგენს და მოისმენს მცოდნეთა აზრს, შეადარებს, შეიმუშავებს მასალას, შეადგენს შესწორების პროექტს და გამოაქვეყნებს, რომ ყველას შეეძლოს კერძოდ თუ მწერლობით თავისი შენიშვნა განაცხადოს. მხოლოდ მაშინ გვექნება ნება შევახოთ ხელი დიდებულ პოემას და გამოვცეთ შესაფერ ცვლილებით. მხოლოდ მაშინ გვექნება ერთგვარი და ნამდვილი „ვეფხის-ტყაოსანი“.

ამ რედაქციის დაარსება და საერთოდ საქმის მოწყობა და დამთავრება უნდა ითავოს „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებამ“, რომელსაც შეუძლიან სალიტერატურო ფონდი ამას მოახმაროს, ან არა ერთ-ერთმა ქართულ გაზეთისა ანუ ჟურნალის რედაქციამ.

შიო დავითიშვილი.

---

*) თ-დ აკაკი წერეთელმა, რომელიც დ. კარიჭაშვილმა, სხვათა შორის, მოწმად და ავტორიტეტად მოიყვანა, განაცხადა „ივერიის“ რედაქციაში, რომ არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ამ კომისიაში.

რობა ასე მოითხოვდა; 1735 წ. მთელს რუსის იმპერიაში გამოცხადდა ერთი უქაზი, რომელიც ყველას სასტიკად უკრძალავდა მართლმადიდებლების კათოლიკობაზედ გადაყვანას. ეს კაპუჩინებმა კარგად უწყოდნენ. საქართველოს რუსეთთან შეერთების დროს, ეს აღკრძალვაც აქ მაშინვე ძალაში შევიდა; რის გამო კაპუჩინების საქართველოში დარჩენა საეჭვო გახდა. მთავრობამ მათ კიდევაც დაუპირა განდევნა, მთავარ-მართებელი ციციშვილი კაპუჩინების მეგობარი და კეთილის-მყოფელი იყო, გულით უნდოდა მათი დატოვება; ამისათვის განგებ გამოსტოვა ქართველი კათოლიკეების მოხსენება და უმაღლეს მთავრობას უჩვენა მარტო სომხებს და მთიულებს, აკათოლიკებდნენო. ამავე ნაირად მოიქცნენ შემდეგი მთავარ-მართებლები და მგზავრი-მწერლები.

აგრეთვე ცხადი სიცრუეა ავტორის გამოთქმული აზრი, ვითომ ქართველი მეფეები რომს ატყუებდნენ და უგზავნიდენ ლათინურად წერილებს, რის მინაარსი თვითონაც არ იცოდნენ, რაიყოთ. ასე ბავშურად სრულიად არ იქცეოდნენ ჩვენი მეფეები. იმათ კარგად იცოდნენ ვის და რასაც სწერდნენ; ვინაიდგან ეს წერილები პირველში მუდამ იწერებოდნენ თავიანთი შინაური საიმედო პირისაგან, მერმე აძლევდნენ მისიონერებს, რომლებიც ზოგჯერ აქვე სთარგმნიდნენ და ზოგჯერაც უთარგმნელს ჰგზავნიდნენ რომში. ამის უტყუარი საბუთი ის არის, რომ დღესაც ბევრი მოიპოვება რომის არხივებში მეფეების ქართულად გაგზავნილი წერილები; ვინაიდგან რამდენიმე წერილი ჩვენც ვიპოვეთ და გამოვაქვეყნეთ ჩვენს გამოცემულს ისტორიაში. ზოგჯერაც მეფეები მისიონერებს ფიცს ართმევდნენ, რომ მათი წერილები უშეცდომოდ ეთარგმნათ: როგორათაც ჰქმნა გიორგი მეფემ 1687 წ. და პატრი ჯუსტინომ თავისი მიცემული ფიცი ზედ ნათარგმნ წერილზედ დააწერა. ამისთვის ესრეთი ულოგიკო აზრი ავტორის ახალი გამოგონილი ჭორია.

არა ნაკლები მოჭორებული და ულოგიკოა ავტორის ახლად გამოქვეყნებული აზრიც, ვითომ ამ ოცის წლის წინად ლათინის წესის მღვდლებს ჩაეგონებინოს კათოლიკებისათვის რადგან ბევრი ხანია საქართველოში სცხოვრობთ და დაივიწყეთ თქვენი სომხური დედა ენა და ზნე-ჩვეულება, ამისთვის ქართველობა დაიჩემეთო, რადგან საქართველოს მცხოვრები ხართ და სხ. ესრეთი აზრი ხომ მთლად შემცდარია. ამნაირის მსჯელობით კაცი ბავშვსაც ვერ დაიყოლიებს, რადგან თვით ბუნებრივ ინსტინკტსაც ეწინააღმდეგება, კაცმა უარყოს ის, რაც არ არის. ამას კაცი აზრათაც ვერ წარმოიდგენს. ნამდვილი ისტორიული ფაქტი-კი ეს არის: როდესაც გაზვიადებულმა პატრიოტმა სომხის კათოლიკებმა და მეტადრე ვენეციიდან მობძანებულმა მეხიტარისტების მღვდლებმა, ამოიღეს მიზანში ტფილისის ლათინის წესის ეკკლესიის გატაცება წართმევა და ყველაფრის გასომხებად და ყველგან დვარძლის თესვა, სწორე მაშინ ამოიღეს ხმა კათოლიკეებმა და დაუწყეს პირდაპირობა ამ ძალით გამასომხებლებს და საქვეყნოთ აღიარეს, რომ ჩვენ ტომით ქართველნი ვართ და არა სომეხნიო. თუმცა ეს სომხები ბევრს დაფაცურდნენ, ბევრს ეცადნენ და ყველა საშვალება იხმარეს, რომ ყველასთვის სომხის ტომობა ეწამებინათ. გარნა ვინც ნამდვილი სომხები არ იყვნენ, მათ ჩაგონებას და ქადაგებას პირი აქციეს და ყურებში თითი დაიცვეს.

აგრეთვე ცხადი სიცრუეა,რასაც ბ-ნი ავტორი ამბობს ჩვენის გამოცემულის „ისტორია კათოლიკობის“ შესახებ. ჩვენ ვიცით რომ ყველა ქართველმა დიდის სიამოვნებით მიიღო ეს წიგნი ქართულმა მწერლობამ საქართველოს ისტორიის ძვირფას საუნჯედ შერაცხა და მეორე „ქართლის ცხოვრება“ უწოდა. უკეთუ ეს წიგნი სომხებისათვის სასარგებლო ყოფილიყო, ვინემც ქართველ კათოლიკებისათვის, მაშინ ხომ სრულიად უადგილო იქმნებოდა ქართველების ეგოდენი თანაგრძნობის გამოცხადება. გარნა ავტორის ესრეთი მსჯელობა გვიმტკიცებს ცხადად ზოგიერთი სომხის მწერლის ერთს შესანიშნავს ჩვეულებას, რომ ან მიითვისოს და ან გააქარწყლოს, რაც-კი ქართველებს კარგი რამ გააჩნიათ. ავტორის გამოთქმული აზრი, ეს წიგნი უფრო სომეხ-კათოლიკებისათვის სასარგებლოა, ვინემც ქართველ კათოლიკებისათვისო, პირველი და ახალი გამოთქმა არ არის: ამ ოთხი სუთი წლის წინედ, როდესაც დავიწყეთ დოკუმენტების შეკრება და ჯერ ისევ ნახევრადაც დასრულებული არა გვქონდა ეს წიგნი, სომხის კათოლიკის მწერლებმა სომხურ გაზეთს „მშაკის“ № 190-ში 1898 წ. დაბეჭდეს ესევე აზრი: «თამართვის შეკრებილი დოკუმენტები უფრო სომხის კათოლიკებისათვისაა სასარგებლო, ვინემც ქართველ კათოლიკებისათვისაო. ამისთვის პატიოსან მკითხველთ მივანდობთ, განსაჯოს ხსენებულ სომხის ავტორის ესრეთი მოქცევა.

ძლიერ გვაკვირვებს ბ. ნ ავტორის თავგასულობა, რომ თვით კათედრათ. რომის წმ. საყდარს რჩევას აძლევს, რომ გაქართველებულ კათოლიკეებს ძალა დაატანოს, რათა მიუბრუნდნენ თავიანთ სომხურ დედა ენას და ტიპიკონსაო მამა ნაჰპეტიანს ჰგონია რომის კარდინლები მასავით სომხური პატრიოტობით აღგზნებულნი იყვნენ და ყველაც მასავით ვენეციის მეხიტარისტების უნივერსიტეტში გაწვრთნილი იყვნენ. საცა სხვა არას სწავლობენ, თუ არ სომხურ უზომო პატრიოტობას და ყველაფრის გასომხებას.

მღვ. მიხელ თამარაშვილი.

(დასასრული იქნება)

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 ოკდომბერი

ლონდონი. ლორდ-მერის მიერ გამართულს ნადიმზედ ბალფურმა წარმოსთქვა სიტყვა და განმარტა: დღევანდელი ყოფა მსოფლიოს საპოლიტიკო საქმეებისა არაფერს არ წარმოადგენს ისეთს, რასაც შეეძლოს მეტის მეტი წუხილი და დაღონება გამოიწვიოს შორეულ აღმოსავლეთის შესახებ. შან ბალფურმა აღნიშნა მეტის ყურადღების მიქცევით, რომ საზოგადო „მშვიდობიანობის საქმეს“ რუსეთის იმპერატორზედ მტკიცე და მხურვალე მფარველი არავინა ჰყავსო. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი მოკავშირე იაპონელნი მეტის მეტს არას მოითხოვენ, ზომიერებითა და სიფრთხილით მოიქცევიანო. მაკედონიის საქმე უფრო გაძნელებული ტკივილია და მისი მორჩენა ძნელია დიპლომატების მოხერხებით. ეგ საქმე სწორე გზას ადგია. რუსეთ-ავსტრიის პროექტი რეფორმებისა, მართალია, ყოვლად სრული არ არის, მაგრამ მინიმუმია იმისი, რის მოთხოვნაც საჭირო იყო. ეგ მინიმუმი უნდა განხორციელდეს და მიტომ ყოვლად შეუძლებელია, რომ რუსეთმა და ავსტრიამ, ვითარცა წარმომადგენლებმა იმ დიდთა სახელმწიფოთა, რომელთაც ხელი მოაწერეს ბერლინის ტრაქტატზედ, ნება მისცენ ოსმალეთს, სთქვას, არა, არ განვახორციელებ მაგ პროექტსაო, ნება მისცენ, რომ გააჭიანუროს საქმე. მეორე საშიშროება, რომელიც მწვავე საზრუნავია ჩვენთვის, არის დაცემა აღმოსავლეთის ერთა. საზოგადოდ საჭიროა ანგარიში გავუწიოთ იმ გარემოებას, რომ ნელ-ნელა ფეხს იკიდებს სამედიატორო სამართლით საქმეთა განხილვა და გადაწყვეტა. ამ გარემოებამ უნდა დაარწმუნოს თითოეული სახელმწიფო ევროპისა, რომ იგინი დიდს დანაშაულს ჩაიდენენ, როცა ამა თუ იმ ერს იარაღს აღებინებენ ხელში სამტროდ და საწინააღმდეგოდ. სადავო საქმენი უნდა მიენდოს უაპელაციოდ გადასაწყვეტად მედიატორეთა სამართალს ან არა და უნდა გახდეს საგნად თავისუფლად მოლაპარაკებისა. ეს თავისუფლად მოლაპარაკება და აღებ-დაღება აზრებისა მოდავეთა შორის ერთად-ერთი საღსარია უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად.

მოსკოვი. საბჭომ გადასწყვიტა სახალხო თეატრში დასდგას ჩაიკოვსკის ბიუსტი და ყოველ წლივ, კომპოზიტორის გარდაცვალების დღეს, გამართოს ხოლმე მისი მუსიკალური ნაწარმოებიდან კონცერტი

პორტ-არტური. საიდუმლო საზოგადოებანი, როგორც ხმა დადის, ამზადებენ დანცზეში ამბოხებას.—ტოკიოელ კორრესპონდენტს «ნოვი კრაისა» აწერილი აქვს იაპონიის წვრილ-წვრილი გაზეთებისაგან გაგონილი ამბები. ასე გაშინჯე «რეიტერის სააგენტოსაგან» გადმოცემული ამბები ჭორებად აქვთ დასახული, მთავრობა გაჩუმებულია, თავის საქმეს აკეთებს და არ აქცევს ყურადღებას ხალხის მოუთმენლობასა.

კიევი. კიევის სასულიერო სემინარიაში პროფესორად ნამყოფმა კრუშევსკიმ უანდერძა 100.000 მ. რომ კიევში გაიმართოს საერო სასწავლებელი.

პავლოგრადი. აღმოაჩინეს დიდი ქურდობა კოფმანის საბანკო კანტორაში: წაუღიათ 30.000 მ. ფულად და ფასიანი ქაღალდები. გამგე კანტორისა აზოვი დაიმალა; ფრაპშტანდტი და სეგალი დააპატიმრეს.

კოპენჰაგენი. ამ მოკლე დროში სტორტინგი გადაშინჯავს კანონმდებლობას, რომელიც შეეხება ქალების მიღებას მოხელეებად.

ვენა. რეიხსტაგი მოწვეულია 4 ნოემბერს.

ვაშინგტონი. წარმომადგენელმა პანამის ახალის რესპუბლიკისამ შეატყობინა სახელმწიფო დეპარტამენტს, რომ დროებითმა მთავრობამ დანიშნა კომისია, რომელიც პანამიდან ვაშინგტონში წავა რათა დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება პანამის არხის შესახებ.

აახენი. გარდაიცვალა გამოჩენილი მცოდნე ხელოვნებისა—ზვენიგოროდსკი.

ბერლინი. დილის ბიულეტენი: გამოღება ყელის გარეგან ადგილებისა მარცხენა მხარეზე თახდათან უმჯობესობაშია. იმპერატორი დღეს ჩვეულებრივად სასეირნოდ წავა.

სოფია. ჰფიქრობენ, რომ პორტა ყოველს ღონეს იღონებს, რომ გადასდოს რეფორმათა შემოღება, რის გამოც აუცილებლად საჭიროა, რომ საქმეში ბეჯითად ჩაერივნენ ევროპის სახელმწიფოები.

ბულგარიაში კვლავ მოდიან ლტოლვილნი. საქმეთა მდგომარეობა რაზლოგს უარესდება. ოსმალთ ჯარები და ბაშიბუზუკები თავს ესხმიან ბულგართა სოფლებს და ბევრს სიმხეცესა და უწესობას სჩადიან.

სოფია. საზღვარ-გარედ გავრცელებული ხმა, ვითომც მთავრის წინააღმდეგ შეთქმულობა იყოს,—გამოგონილი ჭორია

ადენი. ინგლისის ჯარსა და კუტების ტომთა შორის დიდი შებრძოლება მოხდა. კუტების ტომთ ბევრი დაეხოცათ. ინგლისელთაგან დაიჭრა 9 კაცი.

რომი. ცნობაა, ვითომც სამინისტრო სამსახურს თავს ანებებსო - ტყუილია.

29 ოკდომბერი.

პეტერბურგი. 6 ნოემბერს ცარსკოე სელოში მათ უდიდებულესობათა თანადასწრებით გაიმართება საეკლესიო დღესასწაული მის უდიდებულესობის ლეიბ გვარდიის გუსართა პოლკისა.

პოტსდამი. იმპერატორმა და იმპერატრიცამ ქვეითად გაისეირნეს ახალის სასახლის მიდამოებში.

სტამბოლი. ხმები დიდის ვეზირის გამოცვლის შესახებ უსაფუძვლოა.

სოფია. პეტერბურგში მყოფ ბულგარიის აგენტს სტანჩოვს, რომელიც სოფიაშია დროებით დათხოვნილი, მინდობილი აქვს მთავრობისაგან მაკედონელ ლტოლვილთა საქმის მოწყობა და საზრდოობა.

მეამბოხენი განაგრძობენ მაკედონიაში ბრძოლას; მცხოვრებნი შიშობენ, რომ თუ ოსმალეთის ფაშა დარჩა გუბერნატორად, რეფორმების შემოღება შეუძლებელიაო.

პეტერბურგის ბირჟა 28 ოკდომბერს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93.70
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,65
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	$37,62^1/_2$
ბირჟის დისკონტი	$5—6^1/_2\%$
4% სახელმწიფო რენტა	$99^5/_8$ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	$95^1/_8$ მყიდ.
5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	462 გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	347 წვ. გაყიდ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	$290^1/_2$ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
$4^1/_2\%$ ობლიგაც იმავე საზოგადოებისა.	—
$4^1/_2\%$ ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა	$91^4/_8$ წვ. გაყ.
6% ქუთ. საადგ. მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	91 გაყ.

რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოკდომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათომს: 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 6 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

ბაქოს: 1) შუადღის 1 ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამშაბათობით).

ყარს-ერევანს: 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2) საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

ტფილის-ბაქოსაკენ: 1) დილის 9 ს. 32 წ. 2) ღამის 12 ს. 8 წ.

გ) ბაქოდან:

ტფილის-ბათომისაკენ: 1) შუადღის 1 ს 48 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); 4) დილის 4 ს. 8 წ.

დ) ქუთაისიდან:

ბათომისაკენ: 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

ტფილის-ბაქოსაკენ: ღამის 3 ს. 58 წ.

ე) შორაპნიდან:

ჭიათურა-დარკვეთისაკენ: 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

შორაპნისაკენ: 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.

გამოსადეგი ცნობები.

საეკლესიო მუზეუმი

(სიონის ტაძრის ეზოში)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათობითა და ხუთშაბათობით 9—11 საათამდე და კვირაობით 10—1 საათამდე, ვისაც სხვა დროსა სურს დათვალიერება, შეუძლიან მიმართოს მუზეუმის გამგეს—ბ-ნ მოსე ჯანაშვილს (მინკვიცის ქ. № 27)

დაწესდა დღე და ღამ მორიგეობა ბებიაქალთა ქალაქის სამკურნალოში, რომელიც მუხრანის ქუჩაზეა და ფელგის საბებიო ინსტიტუტში.

ყველამ, ვისაც დასჭირდება ბებია-ქალი ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა პირველ დახმარებისათვის, უნდა შეიტანოს ახლად დაარსებულ ბებია-ქალთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ ერთი მანეთი.

ტფილისის საზოგადო წიგნთ-საცავი

(მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

1 აპრილიდან 1 ოკდომბრამდე იღება 4 საათზე და იკეტება 6 საათზე შუადღის შემდეგ.

1 ოკდომბრიდან 1 აპრილამდე იღება 12 საათზე და იკეტება 5 საათზე შუადღის შემდეგ. წიგნთ-საცავში მრავალ რუსულ, ქართულ, სომხურსა და ევროპიულ წიგნებს გარდა, ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთობაც არის. მკითხველთათვის დიდი დარბაზია მოწყობილი. შესვლა უფასოა.

კვირა-უქმე დღეს წიგნთ-საცავი დაკეტილია; ზაფხულობითაც 15 აგვისტომდე დაკეტილია.

კავკასიის მუზეუმი

მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათს, პარასკევსა და კვირა დღეს, დილის 10 საათიდან 3 საათამდე. შესვლა ერთი აბაზია.

ეტლების სიარული ტფილისსა და თელავს შორის.

მამულოვის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზედ, თელავიდგან ტფილისს ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი დახურ ეტლში 4 მან., კოზლაზედ—3 მან. (კანტორა იმყოფება ავლაბარში, კახეთის მოედანზე).

ეტლების სიარული ტფილისსა და სიღნაღს შორის.

აბოევის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზე. სიღნაღიდგან ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი კაცზე ვადიან დილიჟანსკი—4 მან., უვადოში—3 მან.

განცხადებანი

გამოვიდა და იყიდება ყველგან ახალი გამოცემა „წერა-კითხვის საზოგადოების“ № 63.

შოთა რუსთაველის

ვეფხის ტყაოსანი

4 პორტრეტითა და 21 სურათით, დ. კარიჭაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებითა და ვრცელის ლექსიკონით.

XXX+361 გვ. ფასი სამი აბაზი.

50 ცალი დაბეჭდილია სქელ ქაღალდზედ და თითო ცალი ღირს ერთი მან.

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ საგამოკვლევო კაბინეტით. გადამდები გრიპითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

საკოსმეტიკო მასალა

БЕРТА РИСЪ

მის იმპერატორ. უდიდებ. კარის ვაჭარი,

Pasta Eugénie საცხებელი (პუდრა) პირი-სახისათვის, რომელიც აქრობს სწრაფად მზისგან ალანძულებას, ჭორფლს, სიწითლის დაქეს არბილებს პირისახის კანს, აგრეთვე სიახლესა და სილამაზეს აძლევს სახეს. ფასი 1 მ. 60 კაპ.

პუდრა-Eugénie თეთრი, ვარდის ფერი და რაშელი, მტკრად ეკვრის კანს და თვალისათვის უჩინარია; აგრეთვე აძლევს პირის-სახის კანს შესანიშნავს სირბილეს, სიფაფუკესა და სინაზეს. ფასი 1 მ. 20 კ. შესაფქვევის ბუმბულის კანით 1 მ. 50 კ.

ფერ-უმარილი-Eugénie (წყალივით არის) და აძლევს ღაწვებს და ყურებს სრულიად ბუნებრივ ვარდის ფერს, რომელსაც არ ეშინიან არც დღის და არც ელექტრონის სინათლისა. ფასი 1 მ. 50 კ.

Flizir-Mélange წყალივით სახმარი თმის ასაზრდელად და თავში. ქერტლის გასაწმენდად. ფასი 2 მ.

დაფნის ბალზამი (პუდრაა წყალივით) აძლევს პირი-სახეს, ყელს, ხელებს და სხვ. ნაზს სირბილეს და მარმარილოს მზგავს სისუფთავეს. აქრობს მზისგან ალანძულობას, ჭორფლს და კანის ყოველსავე ძაძიბოებს. ფასი 1 მ. 75 კ.

ქინაქინ-გლიცერინის-მიერი (თმის საცხებელი პომადა) პერუს ბალზამით შეზავებული გასამაგრებლად და გასაზრდელად თმისა. ფასი 2 მან.

სადებავი თმისა (რის-გუტმანი): შავი, მიხაკის ფერი, შატენი და ბლონდი. ამ საღებავით შეღებილი თმა 6 კვირის განმავლობაში შეიჩნენს ფერს; შემდეგ არ მიიღებს არც მოწითანო ფერს და არც ჭაღარის ფერს. ფასი 3 მ.

უნგარული ესენცია ულვაშებისათვის რის-გუტმანი) აძლევს ულვაშებს სასურველს ფორმას, ამაგრებს და ხელს უწყობს მათს მსწრაფელს ზრდას. ფლაკონი პატარა სარკით ადვილად შეინახება ჟილეტის ჯიბეში. ფასი 75 კაპ.

ტოკაის ბალზამი (ქიმიკოსის რის-გუტმანისა) აქრობს ბებერებსა და მეჭეჭებსა, ძირიან-ფესვიანად. ფასი ფლაკონისა—80 კ.

უმთავრესი საწყობი ტფილისშია. საავთ. საქონ. ვაჭრ. ამხ-ში და ყოველ საავთიაქო მაღაზიაში.

ტექსტი ამოღებულია „Прав. Вѣст“.-იდან, № 233 1901 წ. (40—37).

„GRAND PRIX“

PARIS 1900

Т—во Высшей

парфюмеріи

А. Ралле и К°

„Медо-Лино-линовое“

გამოვიდა და იყიდება ყველგან „ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

ქაჯანა

მოთხრობა ნ. ლომოურისა ფასი 5 კაპ.

2.

ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფას-დადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Общество распростр. грамотности.

Дозв. цензурою, Тифлисъ, 29 октября 1903 г. Типографія Е. И. Хеладзе Русскій базаръ, домъ армяно-риг. семинаріи

დროებითი რედაქტორი გ. ყიფშიძე, გამომცემელი ა. ხარაჯიშვილი